

სამლოცველო შენობები და სარიტუალო ნაგებობები, რელიგიური
დაპირისპირების ფონზე, გვიან შუა საუკუნეების აჭარაში

ნინო ჯიჯავაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია,
ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო აბაკელია, საპატიო პროფესორი, ემერიტუსი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2020

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ნინო ჯიჯავაძე

10.07.2020

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი: *სამლოცველო შენობები და სარიტუალო ნაგებობები რელიგიური დაპირისპირების ფონზე გვიან შუა საუკუნეების (მე-16 – მე-18 საუკუნეების) აჭარაში* – აჭარის ტერიტორიაზე არსებული ოსმალური ძეგლების მთავარ მახასიათებლებს ხსნის. ოსმალთა არქიტექტურულ სტილს საფუძველი ოსმალთა იმპერიის მთავარ ცენტრებში ჩაეყარა. ეს ნაგებობები ასახავენ გაბატონებულ სოციალურ და გარემო პირობებს, ისევე როგორც ადგილობრივ ტრადიციებს, სამშენებლო ტექნიკას და მასალას. მეჩეთები უპირატესად მოწმობენ ოსმალთა ხანგრძლივ (მე-16 მე 18 სს) არქიტექტურულ წარსულზე, პერიფერიისა და ცენტრის მიმართებაზე, ხოლო მოგვიანო პერიოდის (19 საუკუნე) ნარატივები – რელიგიურ დაპირისპირებაზე.

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა (ოსმალეთის, რუსეთის, საბჭოთა კავშირის) იმპერიაში მოქცეული აჭარული ხის მეჩეთები, განსხვავებულად იხსნებოდა. ეთნო-ისტორიული პერსპექტივიდან გამომდინარე, ზოგი მას ხალხური კულტურის უნიკალურ ძეგლად თვლიდა. ზოგი, უპირველს ყოვლისა, ქართული კულტურის გამოვლინებად მიიჩნევდა, რომელსაც ისლამური საკულტო ადგილის მნიშვნელობა ჰქონდა. აღნიშნული მის, როგორც ისლამის ძალაუფლებისა და გამარჯვების სიმბოლოს მნიშვნელობას აუფერულებდა, ხოლო თვითონ ოსმალთა მას პროვინციულ არქიტექტურულ ფორმად თვლიდნენ.

რეალურად კი, აღნიშნული პერიოდის აჭარაში, ისევე როგორც ოტომანთა იმპერიის სხვა შემადგენელ პერიფერიულ ნაწილებში, მეჩეთი როგორც ძალაუფლებისა და იდენტობის სიმბოლო ემსახურებოდა წესრიგის დამყარებას იმპერიის პროვინციებში. საქართველოს ხის (მუხის) მეჩეთებიც, ოსმალეთის ასიმილაციურ პოლიტიკას ემსახურებოდა, რომლის ხელისუფალნი ცდილობდნენ

იმპერიული კულტურის საფუძველზე შეედუღაბებინათ მრავალკონფესიური და მრავალენოვანი ქვეშევრდომები. რაც შეეხება მის ადგილობრივ ფორმას, აჭარის ხის მეჩეთები სინკრეტული ხასიათისაა, რომელშიც აისახა როგორც ოსმალეთის პროვინციებისთვის შემუშავებული სპეციალური მოდელები, ასევე ადგილობრივი ვერნაკულარული არქიტექტურა.

მთავარი სიტყვები: აჭარა, ოსმალეთა იმპერია, ხის მეჩეთები, ნარატივები

Abstract

The magistral thesis: *Praying and ritual buildings against the background of religious tension in the late Medieval (16th – 18th cc) Ajara* - explains main characteristics of existing Ottoman monuments in Ajara (historical, geographic and political-administrative region of Georgia). Ottoman architectural activity in one of the regions of Georgia largely reflected architectural styles founded in the principal centers of the Ottoman Empire. These buildings reflect prevailing social and environmental conditions as well as local traditions, building technique and materials. Ajarian mosques (as well as other peripheral mosques of the Ottoman Empire) largely witness a long architectural Ottoman past and relation between Center and Periphery. And as for the ruined churches and narratives written down later (in the 19th c) , they witness religious tension during 16-th and 18th cc.

At different times, under different (Ottoman, Russian and Soviet) Empires Ajarian mosques and wooden mosques, in particular, had been interpreted differently. from the ethno- historic perspective it was interpreted as a unique folk monument, primarily as a manifestation of Georgian culture, that had the meaning of Islamic cultic site (that neutralized and made vague Ottoman mosques' content). For Ottomans themselves they represented provincial, peripheral architectural forms.

In reality, in Ajara in the mentioned period, mosques as the symbols of power and identity served the politics of establishing Imperial order in the Imperial provinces. The wooden mosques of Georgia (as well as the stone ones) served the assimilating politics of Ottomans, who tried to integrate multi-confessional and multi-lingual cultures on the basis of imperial culture. As for its local forms, Ajarian wooden mosques are syncretic in character

and reflect both special architectural forms developed for Imperial provinces and local vernacular architecture.

Key words: Ajara, Ottoman Empire, wooden mosques, narratives.

სარჩევი

შესავალი.....	
.1	
არსებული კვლევები და ლიტერატურა.....	2
წყაროთმცოდნეობითი ბაზა.....	5
მეთოდოლოგია.....	
.6	
ნაშრომის სტრუქტურა.....	6
თავი პირველი: კონფესიურ ცვლილებებთან დაკავშირებული პროცესები ხალხურ ნარატივებში.....	
6	
ხიხანის (ხირხათის) ციხე.....	11
სხალთის ეკლესია.....	11